ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 10492/01
28/10/2019

10492-01-2-201910281624

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 15 ოქტომბრის N 14653 წერილი, რომელიც ეხება 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის („დიდუბე - 3,4“-ის N17-22 საყრდენებს შორის მონაკვეთის) მიწისქვეშა საკაბელო ხაზით შეცვლის მშენებლობის (რეკონსტრუქცია) და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო დერეფნის SHP ფაილები;
- სადემონტაჟო ანძების GPS კოორდინატები;
- საპროექტო დერეფნის ადგილმდებარეობის აეროთანამგზავრული მონაცემები (სქემატური ნახაზი; ექსპლიკაცია);
- სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული მანძილი უახლოეს მოსახლემდე;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ეგხ-ს დაცვის ზონების შესახებ;
- მიწისქვეშა საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონის აღმნიშვნელი ბოძების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია მიწის სამუშაოების შესახებ, საკაბელო არხის პარამეტრების შესახებ (სიღმე; სიგანე და სხვ), აგრეთვე სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში დასაზუსტებელია საპროექტო მიწისქვეშა ეგხ-ს და სს „ლისი დეველოფმენთ“-ის მიერ დაგეგმილი (ურბანიზაციის პროექტის) საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების თანხვედრის ამსახველი სიტუაციური ნახაზები, მანძილები საპროექტო ინფრასტრუქტურასა და საპროექტო მიწისქვეშა ეგხ-ს შორის.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენა სამინისტროში შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციით, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე